ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №7

ქ. ახმეტა 24 აპრილი, 2019 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ. ბაღაკაშვილი. ბ.ჭიჭიკლიშვილი
ა.შათირიშვილი, ა.ბუღრიძე,
შ.ტერტერაშვილი,ლ.ითიურიძე
დ.იმერლიშვილი, ნ.ალავიძე

სხდომას ესწრებოდა: მერის მოადგილე - ვ.ნასყიდაშვილი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - დ.აბულაძე

სხდომა გაიხსნა 11[00] საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;**

/მომხსენებელი - ვ. ნასყიდაშვილი/

2. **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;**

/მომხსენებელი - დ. აბულაძე/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) მიწის ნაკვეთების, მუნიციპალიტეტის **100%**-ანი წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თუშური ცხვრის ჯიშსაშენის“-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე **70017**კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს საპროექტო წინადადების შესახებ, რომელიც ეხება ამბულატორიის მშენებლობას სოფლებში: ოჟიოში, ჯოყოლოში, ომალოში და მაღრაანში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა დღის წესრიგის მე-2 საკითხი გადაეტანათ დღის წესრიგის მე-5 საკითხად, რასაც ბიურო დაეთანხმა.

<u>მოისმინეს</u>: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) მიწის ნაკვეთების, მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თუშური ცხვრის ჯიშსაშენის"-თვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხი: შპს-ს დირექტორმა ნ.ილურიძემ მოგვმართა განცხადებით,- მიწის ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდა გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის მხრიდან დამუშავებულია მიწის ნაკვეთები. მოსავლის აღებამდე აუქციონს ვერ გამოვაცხადებთ. შემოსავალი რომ არ დაიკარგოს, პირდაპირი განკარგვის წესით გადავცეთ შპს-ს, რომელიც თავის მხრივ გააფორმებს ქირავნობის ხელშეკრულებას მოსახლეობასთან, თანხა შემოვა ბიუჯეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მოიკითხა შესაბამისი კომისიის დასკვნა საკითხის შესახებ. ა.შათირიშვილმა უპასუხა, რომ საკითხი საჭიროებს ადგილზე შესწავლას. კომისია იმუშავებს მერიასთან შეთანხმებით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება საკითხი ამოვიდეს დღის წესრიგიდან დეტალური შესწავლის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას, ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე 70017კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს. შემოსულია განცხადება ალექსი ქავთარაშვილის მიერ, მიწის ფართის იჯარის ფორმით გადაცემის მოთხოვნაზე. ნაკვეთი არის სახნავი და მრავალწლიანი (ტყემალი) ნარგავის დანიშნულების მქონე. ვაცხადებთ აუქციონს. სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური შეადგენს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ს-2490.0 (ორიათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა არის 5(ხუთი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალება ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცების შესახებ. გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157. სარეგისტრაციო მოწმობა RV0137560. საწყისი საპრივატიზებო საფასური - 2186 (ორიათას ას ოთხმოცდაექვსი) ლარი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი შეთანხმებულია ფინანსთა მომსახურების სააგენტოსთან.

განკარგულების ტექსტის შინაარსი ჩასწორდა, ამოვიდა სიტყვა ,,არანაკლებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (კამაცუ) მძღოლი-1, ავტობუსის მძღოლი-1, მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-3, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-2, მერის თანაშემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1.

ბიუროს წევრებმა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით აღნიშნეს: ხომ არ სჯობს პროექტიდან ამოვიღოთ კამაცუს და ავტობუსის მძღოლის ადგილები, იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ტრანსპორტი არ არის მწყობრში და არ მუშაობს, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ადგილები განსაზღვრულია, მაგრამ რადგან პირები დასაქმებულები არ არიან, ეს ხარჯს არ იწვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხვა კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{20} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თ.ყეინიშვილი**